პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს საბჭოთა კავშირის ფიზიკურ კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 ივნისი, შაბათი, 1988 წ.
№ 122 (9789) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის თასის გათამაშება ნიალში ხდება

ფინალური ბრძოლების ფერისცვალება

ჩვენგა მკითხველმა უკვე იცის ასპარეზობის პირველ დღეს, ქალთა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები. ახლა რამდენიმე სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ასპარეზობა.

უნდა ითქვას, რომ სპორტსმენებმა საკმაოდ მშვიდობიანად დაამთავრეს ასპარეზობა. „სატერნირო ცხრილში" ისინი, ფაქტობრივად, არავითარ მოძრაობას არ განიცდიდნენ. გამონაკლისები მხოლოდ უკრაინის წარმომადგენელი ტატიანა გოდუნი და თბილისელი დიანა მჭედლიძე იყვნენ, რომლებიც ბრძოლის მსვლელობისას ერთმანეთს II-III ადგილს უცვლიდნენ, ბოლო ორმა ნახტომმა კი ჩვენი სტუმარი დააწინაურა.



ვალერი სტაცენკო.

რაც შეეხება გამარჯვებულ მარინა ბობკოვას, მან საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა და შეეძლებოდა მოეპოვა საკავშირო თასი.

— ამ გამარჯვებამ, ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად, ქულების გარკვეული რაოდენობა მომიტანა, — ამბობს ბობკოვა. — საბოლოოდ რომ დავშშვიდდე, საჭირო იყო-სში შეკეთის თასის გათამაშებაში და აგვისტოში საკავშირო ჩემპიონატშიც კარგად გამოვიდე.

შეჯიბრების მეორე დღეს 1-მეტრიან ტრამპლინზე მოასპარეზე ქალები კაცებმა შეცვალეს. მათ ცალ ასპინდი დაუდგათ. ბოლოს, წინასწარი ხტომისას, გადაუღებლად წვიმდა, სალამის, ფინალური შეჯიბრებისას კი საკმაოდ აგრილდა.



მარინა ბობკოვა.

ბუნებრივია, ფინალურ ასპარეზობაში მთელი ყურადღება, ჩვეულებრივ, მიპყრობილია იმ სპორტსმენებისკენ, რომლებიც წინასწარ შეჯიბრებაში უკეთეს შედეგებს აჩვენებენ. სამწუხაროდ, ფინალები ისე წარიმართა, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგა. ხან ერთს უპოვიდებოდა ნახტომი და ხან მეორეს. საბოლოოდ გამარჯვება წილად ხვდა კოველ ვალერი სტაცენკოს (549,43), რომელიც წინასწარი შეჯიბრების შემდეგ მეხუთე იყო. ფინალში, საკალდებელ ნახტომების შემდეგ, იგი VII ადგილზე ჩამოქვეითდა. მერე, როცა ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ნახტომიღა დარჩა, ერთბაშად მეორე ადგილზე გადინაცვლა, საბოლოოდ კი თასიც დაისაკუთრა. II ადგილზე კოგოლევი (564,18) გავიდა, III-ზე კოველი ნაჯიბ ალიაუტდინოვი, რომელიც, წინასწარ შეჯიბრებების შემდეგ, მეექვსე იყო.

ასპარეზობაში ძალას ცდიდა მარშანდელი საკავშირო თასის მფლობელი, თბილისელი გიორგი შელეგოვიც, რომელმაც IV ადგილი დაიკავა (541,53).

— ახლა შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლისნო კომპლექსის ტრამპლინი ჩემთვის ბედნიერია, — გვეუბნება კოველი არმიელი სტაცენკო. — მარშაწ აქ პირველად ვიასპარეზე. საკავშირო თასის გათამაშებაში თბილისელ გიორგი შელეგოვთან ერთად სინქრონულ ხტომებში გამოვდიოდი და გავიმარჯვეთ. ახლა მეორედ მოვიპოვე თასი, მაგრამ ოლიმპიურ გუნდში მოვხვდები თუ არა, არ ვიცი, სეულში გასამგზავრებლად 3-მეტრიან ტრამპლინზე ერთბაშად ხეთ-ექვს სპორტსმენს აქვს პრეტენზია, ადგილი კი ორია. ამიტომ ამ სიტუაციაში მშვიდი ცხოვრების უფლება არავის არა გვაქვს. საერთოდ, საბჭოთა წყალში მხტომელებიდან ერთადერთი გიორგი ნოგოვიცა, რომელსაც, როგორც იტყვიან, თავი ქედში აქვს.

ალექსანდრ გურასაშვილი,

ავტორის ფოტოები.

დღეს და ხვალ თბილისში

25 და 26 ივნისს თბილისში ჩატარდება მასობრივი სპორტული ღონისძიებები, რომელშიაც მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. აირჩიეთ თქვენთვის შესაფერისი სასეირნო:

მძლეოსნობა — ღია სტარტები მსურველთათვის. „დინამოს" სტადიონი, 19 სთ;

მინიფეხბურთი — მონაწილეობენ ნარმოება-დაწესებულებების კოლექტივები. გორგასალის, 111, 11 სთ; გლდანის II და VII მიკრორაიონები, 18 სთ;

ბადმინტონი — პიონერთა ბანაკების შეჯიბრება. გრიბოედოვის, 56, 12 სთ;

მაგიდის ნოგბურთი — მონაწილეობს მიკრორაიონების მოსახლეობა. გლდანის VII მიკრორაიონი, 18 სთ;

შაშე — პიონერთა ბანაკების შეჯიბრება, გრიბოედოვის ქ. № 56, 12 სთ;

ღონისძიებებს აკარებს თბილისის სპორტკომიტეტი.

თბილისის XIX საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

ოლიმპიური წლის პრობლემები



აკაკი კიბორძალიძე.



ვიქტორ პოდდუბნი.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელიც გუშინწინ სპორტის სასახლეში დაიწყო, ოლიმპიური წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა. ამით აიხსნება ინტერესი ასპარეზობისადმი, რომელიც ბულგარეთის, ბრაზილიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ესპანეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის, საფრანგეთის, აშშ-ს, სამხრეთ კორეის, იუგოსლავიისა და იაპონიის ძიუდოს ფედერაციებმა გამოიჩინეს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მას საბჭოთა მწვრთნელები და სპეციალისტები. ადვილი შესაძლებელია, რომ ნაკრები სწორედ ამ ტურნირის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდეს. ყოველ შემთხვევაში მწვრთნელთა საბჭოს წინაშე წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრის გზა სწორედ აქ უნდა დადგინდეს.

პრობლემები კი მართლაც ბევრია და ერთ-ერთი მათგანი 95 კგ წონითს კატეგორიაში კობა კურტანიძის ადგილზე ღირსეული კანდიდატის შერჩევა გახლავთ. საქმე ისაა, რომ ჩვენმა თანამემამულემ, რომელიც ნაკრების უეჭველ კანდიდატად ითვლებოდა, ოპერაცია გადიტანა და ვარჯიში ახლახან განაახლა. ცხადია, შეჯიბრებაში მონაწილეობას იგი ვერ მიიღებდა, მისი ღირსეული შემცველი კი ამ ეტაპზე არ ჩანდა.

ამიტომაც მიმართეს მწვრთნელებმა ექსპერიმენტს და 86 კგ წონით კატეგორიის ლიდერი კრასნოიარსკელი ვიქტორ პოდდუბნი იძულების წესით ზედა წონაში გადაიყვანეს. პოდდუბნიმ სპეციალისტთა იმედები გაამართლა და ბრწყინვალედ მოიგო ტურნირი მისთვის უჩვეულო ქვემძიმე წონაში. მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, პრობლემის ფორმალური გადაწყვეტაა, ვინაიდან ახლა უკვე სხვა წონა დასუსტდა და სასწრაფო ზომების მიღება იქ გახდა საჭირო.

ერთი სიტყვით, თუ ვიქტორ პოდდუბნი ახალ წონაში დაიმკვიდრებს ადგილს, მაშინ, მისი შემცველი 86 კილოგრამში უნდა გამოიჩინოს. საბჭოთა ნაკრების უფროსმწვრთნელს გენადი კალეტკინს არანაკლებად აღელვებს მდგომარეობა 71 კგ წონაშიც. აქაც გუნდი, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით ფავორიტის გარეშეა დარჩენილი.

(ს. მე-4 გვ.)

ახალი ლიდერი

საფრანგეთის ქალაქ ბელფორში მიმდინარე მოკადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის" გათამაშებას კვლავ ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს — ამჯერად „ყვითელი მაისური" ტალინელ იან ელვესტს აცვია. VII ტურში იგი შავი ფიგურებით დაუზავდა იუგოსლავიელ ლიუბომირ ლიუბოევიჩს, VIII ტურში კი შვედ ულფ ანდერსონს სძლია და 6 ქულა მოგროვა. მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ამ ტურებში მხოლოდ ერთი ქულა აიღო — ყაიმით დამთავრა შეხვედრები ბორის სპასკისთან (შავებით) და ისლანდიელ იოჰან ჰიარტარსონთან. ახლა კასპაროვს 5,5 ქულა აქვს.

VII და VIII ტურების დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა — **VII ტური:** რიბლი-კარპოვი — 0,5:0,5, ჰიუბნერი-ნოგეირასი — 1:0, ტიმანი-იუსუპოვი — 0,5,0.5, სპილმენი-სოკოლოვი — 0,5:0,5, ჰიარტარსონი-შორტი — 1:0, ანდერსონი-ბელიავსკი — 0,5:0,5; **VIII ტური:** კარპოვი-ბელიავსკი — 1:0, სოკოლოვი-სპასკი — 0,5:0,5, იუსუპოვი-სპილმენი — 0,5:0,5, ნოგეირასი-ტიმანი — 0:1, რიბლი-ჰიუბნერი — 0,5:0,5; გადაიდო შორტ-ლიუბოევიჩის შეხვედრა.

რვა ტურის შემდეგ ლიდერებს კვალში მიჰყვებიან ანატოლი კარპოვი — 5 ქულა, ანდრეი სოკოლოვი, ბორის სპასკი (საფრანგეთი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ) — 4,5-4,5, ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 4, ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 3,5 (1), ულფ ანდერსონი (შვეცია), ალექსანდრე ბელიავსკი, ჯონათან სპილმენი (ინგლისი), არტურ იუსუპოვი — 3,5-3,5...





საკავშირო უნივერსიადა-88

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე

ბარს მოგვადგა უნივერსიადა-88-ის საკავშირო სტარტები, რომელსაც სპორტულ სემესტრსაც უწოდებენ. სტუდენტთა წლეულდელი ემრავალდარგოვანი ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართება. მათ შორის თბილისშიც, სადაც ქალთა ორი ზონალური შეჯიბრება უნდა ჩატარდეს: კალათბურთში — 25 ივლისიდან 1 აგვისტომდე და ფრენბურთში 1-7 აგვისტომდე.

აქვე 23 ივლისიდან 1 აგვისტომდე გათამაშდება ფინალური ტურნირი ფარიკაობაში, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულებს, როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაში.

ასპარეზობისათვის ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მზადებასა და შეჯიბრების ჩატარებას ხელმძღვანელობს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე გენადი მაქაცარია.

გუშინ საორგანიზაციო კომიტეტის პირველ სხდომაზე განიხილეს შეჯიბრების ჩატარებისა და მასში მასპინძელთა მონაწილეობის საკითხები.

საღ ვივარჯიშოთ, საღ ვასპარეზოთ, საღ დავისვენოთ

ზაფხულის დღეებში, რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს განსაკუთრებით წყლის ხამყარო იზიდავს. ბევრი უკვე შავი ზღვის სანაპიროზე ისვენებს. ზოგიც დასასვენებლად გამგზავრებამდე ცდილობს მაქსიმალურად ისარგებლოს იმ შესაძლებლობებით, რომლებიც ადგილებზე გაგვაჩნია. ქუთაისში, ტყიბულში, გორში, რუსთავში, დუშეთში, თბილისში დასვენების დღეებში უამრავი ხალხი იყრის თავს ხელოვნურ წყალსაცავების თუ ტბების ნაპირთან. წყალი, მზე და ჰაერი ხომ ორგანიზმის გაკაჟების საუკეთესო საშუალებაა. ხურათებს, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, გასულ კვირას გადაიღო ხ. ვართანესოვმა ლისის ტბაზე.

უნივერსიადა-88

დეფილიტის საზღვარი — მეორე თანრიგი

ეშაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მძღოლსნობის სპეციალისტებს და მთლიანად კათედრებს უნივერსიადის შეჯიბრების დღეებში თითქოს ადრინდელი მობილიზება გამოჰყვათ. „დინამოს“ სტადიონზე მათ თავი მოუყარეს თითქმის ყველა მძღოლსან-სტუდენტს, საქართველოს ორიოდე წამყვანი სპორტსმენის გარდა (მ. აზარაშვილი, ტ. ბიწაძე), რომლებმაც დაესწრებლად შესძინეს ჭეღები თავიანთ კოლექტივებს.

მონდომება, კიდევ აღვნიშნავთ, ძველებური გამოიჩინეს გუნდების ხელმძღვანელებმა. ორგანიზაციული თვალსაზრისითაც ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მაინც, მთლიანად, მძღოლსანთა ასპარეზობა ადრინდელ ტურნირებს ვერ დაემსგავსა. ადრინდელში გასულ უნივერსიადას კი არა, უფრო მის წინამორბედებს ვგულისხმობთ, რომლებშიც გაცილებით მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

„მსაბრძოლის ეფექტის“ მოხდენა ახლა შეეძლოთ უმაღლეს სასწავლებლებს, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ჩათვლას II თანრიგის ნორმატივი ეძლეოდა. სწორედ ამ კვალიფიკაციის მძღოლსანთა სიმცირემ გამოიწვია ის, რომ ბევრ დისციპლინაში მხოლოდ თითო-ოროლა სპორტსმენი ასპარეზობდა.

და მაინც, მონაწილე გუნდების რიცხვის მიხედვით მძღოლსნებმა აჯობეს ბევრ სხვა სახეობაში მოასპარეზეებს. „დინამოს“ სტადიონზე 12 უმაღლესმა სასწავლებელმა გამოიყვანა თავისი წარმომადგენლები, იმ კოლექტივებში, რომლებმაც თავი აარიდეს შეჯიბრებას (თბილისი პუშკინის სახელობისა და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტები, თეატრალური ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი), საეჭვოა მეორეთანრიგოსანი მძღოლსნები ჰყავდეთ. მოკლედ, ამ უნივერსიადამ ნათლად გვიჩვენა სპორტის დედოფლის მდგომარეობა ჩვენს სტუდენტობაში. გვიჩვენა, რომ მას ასე თუ ისე სერიოზულად მხოლოდ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში მისდევენ.

აშკარა ფავორიტად, რასაკვირველია, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი ითვლებოდა, რომელშიც ყველაზე მეტი წევრი (30) იყო. 18-18 მონაწილე გამოიყვანეს საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სხვებს უფრო ცოტა (3-9) მძღოლსანი ჰყავდათ, რომელთაგანაც ყველამ ვერ შეასრულა საჭირო ნორმატივი.

გუნდური საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა არც ყოფილა, იმდენად აშკარა იყო ძალთა უთანაბრობა. კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მე-4 ადგილი, რადგან ამ გუნდის ყველა მძღოლსანი (მაია აზარაშვილის გარდა), ფაქტობრივად, იქვე, ინსტიტუტში აღიზარდა.

მთლიანად მონაწილეთა შედეგები მაღალი არ იყო. ამას თავარა სიცხემაც „შეუწყო ხელი“, ამასთან, ბევრი მონაწილე მხოლოდ იმდენს ცდილობდა, II თანრიგი შეესრულებინა და ჩათვლა მიეცა თავისი გუნდისათვის. თუმცა, რამდენიმე კარგი შედეგის მოწმენი მაინც გავხდით. სპორტის ოსტატობის ნორმატივის შესატყვისი შედეგი აჩვენეს ელვირა ურუსოვამ (მწვრთნელი ვასილ შმაკოვი) ბირთვის კვრაში და გელა ვეშაპიძემ (ეკვენი საპრონოვი) 110 მეტრზე თარჯრბენში. ზურაბ ყიფიანმა (გოგი გოზალიშვილი) კარგი შედეგებით მოიგო 100 და 200 მეტრზე რბენა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს.

ქალები. 100 და 200 მ. თ. შანიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) — 12,0 და 26,4. **400** და **500 მ.** ე. ჭკადუა — 58,6 და 2.18,4, **1500** და **3000 მ.** ო. ბერიოზინა — 4.58,0 და 10.36,0. **100 მ. თარჯრბენი.** ქ. პაიკაძე (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 11,3. **4X100 მ.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 50,4.

ხტომა. სიგრძეზე. მ. აფციაური (თბილისის უნივერსიტეტი) — 5,65 მ.

სიმაღლეზე ხტომა. მ. ნიკურაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 170 სმ.

ბირთვი. ე. ურუსოვა — 17,00 მ. **შუბი.** მ. გიგუაშვილი (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 45,30 მ.

ვაჟები. 100 და **200 მ.** ზ. ყიფიანი (სპი) — 10,6 და 21,7. **400 მ.** ვ. გაფრინდაშვილი — 49,0, **800 მ.** გ. მაჩკალოვი — (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 1.59,6. **1500** და **5000 მ.** ს. არტამონოვი (სპი) — 3.59,8 და 15.38,2. **10000 მ.** გ. ბენიძე — 32.40,5;

თარჯრბენი. 110 მ. გ. ვეშაპიძე — 13,7; **400 მ.** მ. გაფრინდაშვილი — 55,0, **3 კმ წინაღობებით.** ზ. ხიტირი (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 10.00,9.

10 კმ. სპორტული სიარული. ჯ. ბაიაძე (თბილისის უნივერსიტეტი) — 48,05,3. **4X100** და **4X400 მ.** ფიზკულტურის ინსტიტუტი — 43,1 და 3.32,1.

ხტომა. სიგრძეზე. მ. მაზახიმ ოღლი (თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი) — 7,28 მ. **სიმაღლეზე.** ი. ზაბროსკოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 2,05 მ. **ხამხტომი.** ვ. მახარაძე (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი) — 15,25 მ. **ბირთვი.** ბ. ლომინაძე (სპი) — 17,07 მ. **ბადრი.** ს. დვიჩაკინი — 51,60 მ. **ურო.** ა. ტალიკაშვილი (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 64,30 მ. **შუბი.** ვ. პაშკულსკი (სპი) — 64,88 მ.

გუნდური. I. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 1330 ქულა; II. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 738; III. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 545; IV. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — 205; V. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი — 107 მ, VI. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 97; VII. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი — 96; VIII. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი — 87; IX. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 87. X. სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი — 43; XI. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი — 28. სამედიცინო ინსტიტუტის მძღოლსნებმა ჩათვლა ვერ მიიღეს.

• • •

სურათებზე: ვაჟები 1500-მეტრიან დისტანციაზე; ქალები 800 მეტრზე რბენაში ასპარეზობენ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



ПРОФЕССИОНАЛЬНОЕ СПОРТИВНОЕ ОБЪЕДИНЕНИЕ

აქტიური არტისტული

ბათუმის მანქანათმშენი ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი მოწინავეა საქალაქო საბჭოში შემავალ პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტულ კოლექტივებს შორის. აქ ბევრი რამ კეთდება, რათა ყველა მშრომელი პრაქტიკულად იყოს ჩაბმული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა საზოგადოებრივი აქტივიც, რომელთაგან გამოირჩევა დამაშვებელი უბნის დამკომპლექტებელი მერაბ მეხეშიძე.

იგი 5 წლის წინათ, სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ მოვიდა ქარხანაში და შეგირდად დაიწყო მუშაობა. მალე დოსტატდა და მადალკვალიფიციური სპეციალისტის სახელიც დაიგდო. ჯერ უბნის ფიზორგად აირჩიეს, შემდეგ საწარმოს ფიზკულტურული საბჭოს წევრად.

— მერაბი ენერგიული ფიზკულტურული აქტივისტია — ამბობს ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, სპორტის ოსტატი ბ. შენგელია. — მრავალმხრივი სპორტსმენია, თანრიგოსანია ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, სროლაში, მძღოლსნობაში, ტურიზმში. რაც მთავარია, მერაბი კარგი ორგანიზატორია, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ უბანი, სადაც იგი მუშაობს, საწარმოს ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის საუკეთესოა. ახლახან გამართულ მინიფეხბურთელთა ტურნირში, სამამულო ომში დაღუპულ ქარხნის ერთ-ერთი საამქროს ყოფილი უფროსის შალვა მიქაძის პრიზზე, მერაბ მეხეშიძე — კუნდი გამარჯვებითვით ეს ტურნირიც მერაბის მიერ იყო ორგანიზებული. მისი უბანი საუკეთესო იყო ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში.

— მართალია, — თქვა მ. მეხეშიძემ, — ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა, საზოგადოებრივმა აქტივმა ყველაფერი იღონეს, რათა ფიზიკური კულტურა და სპორტი ჭეშმარიტად ბასობრივი გაეხადათ, ნაყოფიერად ამოქმედებინათ სპორტული სექციები და ჯგუფები, მაგრამ ჯერ მაინც ბევრი გვაქვს მოსაგვარებელ-მოსაწესრიგებელი. ქარხანას არა აქვს დახურული დარბაზი, სადაც ავდარში, რაც ჩვენს ქალაქში იშვიათი არ არის, შეცადინეობის საშუალება გვექნებოდა. ვფიქრობ, ეს საკითხი უახლოეს ხანში უნდა მოგვარდეს. ქარხნის გაზრდილი გეგმების წარმატებით შესრულება, ჩემი აზრით, მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ ჯანმრთელ ადამიანებს ძალუძთ. აი, რატომ არის აუცილებელი საწარმოში ყველა პირობის შექმნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შედგომი განვითარებისთვის.

ასე ფიქრობს მერაბ მეხეშიძე, ასე ფიქრობს ყველა საზოგადოებრივი აქტივისტი, იმ საწარმოში კი, სადაც ასეთი საქმეზე შეუვარებელი ადამიანები მუშაობენ, შრომის ნაყოფიერებაც მაღალი იქნება და ფიზკულტურულ-სპორტული პრობლემებიც მოგვარდება.

ლევან ქავთარაძე.
(„ლელოს“ ხაკ. კორ.).

ბათუმი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„მოსაცდელი სპორტულ მოედანზე“

16 მარტს „ლელოში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩოხატაურ-ბახვიროს გზის გაფართოების სამუშაოების შედეგად, სპორტული კომპლექსის შესასვლელთან მდებარე მგზავრთა მოსაცდელი გადატანილი იქნა სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე, რაც აუცილებლობით იყო გამოწვეული. მოსაცდელი დიდგა ფრენბურთის მოედანზე. მდგომარეობის გამოსასწორებლად ადრიდანვე იყო გათვალისწინებული ფრენბურთის ახალი მოედნის მოწყობა, რასაც გზის მშენებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს. გარდა ამისა, დაგეგმილია ჩვენი სახსრებით სპორტული კომპლექსის გაფართოების სხვა სამუშაოები, რის შემდეგ კომპლექსი სრულყოფილად დაკმაყოფილებს მოთხოვნებს.

რ. ცენტერაძე,
სოფელ ხიდისთავის სახიფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე,

ვ. გოგიბერიძე,
კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

წერილები რედაქციას

ძვირფასო რედაქციავ!

მოგესალმებით შორეული ბაშკირეთის ქალაქ ოქტიაბრსკიდან. ვარ თექვსმეტი წლის, ეროვნებით რუსი, პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე.

წელს გამოიწერე თქვენი გაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ მასში ვერაფერს კითხულობ. ვათვალიერებ სურათებს და ვფიქრობ, რამდენად საინტერესო იქნებოდა ეს გაზეთი, თქვენი ენა რომ მესმოდეს. „ლელო“ რომ რუსულ ენაზე გამოდიოდეს, დარწმუნებული ვარ, მას უამრავი თაყვანისმცემელი და მკითხველი ეყოლება. სამწუხაროდ...

ქართულ გუნდებს ვიცნობ სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. ვარ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა, კალათბურთელთა და წყალბურთელთა გუნდების გულშემატკივარი, პირველ ლიგაში ლანჩხუთის „გურიას“ ვქომაგობ, მეორეში — სოხუმის „დინამოს“. აღფრთოვანებული ვარ თქვენი მოჭადრაკე ქალების და რეგბისტების წარმატებებით.

არ გეგონოთ ფანატიკოსი ვიყო. უბრალოდ, ძალიან მახარებს ქართველების მიღწევები სპორტულ ასპარეზზე და, საერთოდ, მაინტერესებს თქვენი ერის ისტორია.

მე თვითონ საკმაოდ სერიოზულად ვარ გატაცებული სპორტით. მიტაცებს ფეხბურთი და ყოველდღიურად ინტენსიურად ვვარჯიშობ.

გავიგე, რომ შეიქმნა თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბი. ამასთან დაკავშირებით გიგზავნით 3 მანეთს და მოხარული ვიქნები, თუ ჩემი საყვარელი გუნდის ფონდში ჩემი მცირედი წვლილიც იქნება შეტანილი.

პატივისცემით
ვლადიმერ ანტიპოვი.

ქ. ოქტიაბრსკი.

• • •

პატივცემული რედაქციავ!

ვარკეთილის V მიკრორაიონის მე-20-21-ე კორპუსის ბავშვები გაწუხებთ. 5 წელია აქ ვცხოვრობთ და ამ ხნის განმავლობაში არავის ბრუნვია ჩვენთვის სპორტული მოედანი მოეწყო. ვთამაშობთ ფეხბურთს ჩვენს მიერ მოსწორებულ მოედანზე. მზიან ამინდში რა გვეჭირს, ნაწვიმარზე კი არათუ თამაში, გავლაც კი შეუძლებელია. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩვენი გულისტკივილი. იქნებ შესაბამისმა ორგანოებმა მაინ მაინც მოგვაქცინონ ყურადღება.

გ. ჯიშელეიშვილი, ნ. ხობუა, ა. თანდილაშვილი, ბ. ბერიძე და სხვ.

СССР ЧЕМПИОНАТИС ПИРВЕЛОБА БАЛАХИС ХОКЕИШИ

„ლოკომოტივი“ ლიდერებს მიუახლოვდა

ბალე დასრულდება ბალახის ჰოკეისტ ვაჟთა საკავშირო პირველობის I წრე პირველი ლიგის გუნდებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი — ქუთაისის „ლოკომოტივი“ არც თუ ურიგოდ ასპარეზობს.

ამასწინათ ქუთაისელმა რკინიგზელებმა საკუთარ მოედანზე ოთხი შეხვედრა გამართეს, ოთხივეში გაიმარჯვეს და ლიდერთა ჯგუფს მიუახლოვდნენ.

„ლოკომოტივმა“ ჯერ ლიგის ერთ-ერთ ფავორიტს — კუიბიშევის „ტორედს“ უმასპინძლა. ეს გუნდი 1987 წლამდე უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა და ახლა უძლიერესთა რიგებში დასაბრუნებლად იბრძვის.

მართალია, პირველ შეხვედრაში ჭიქაძისა და ძნელაძის მიერ გატანილი ორი ბურთის მეშვეობით სასპინძლები სწრაფად დაწინაურდნენ, მაგრამ ვოლგისპირელებმა ჯერ ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, შემდეგ კი იერიშზე გადავიდნენ. მატჩის ამ ძნელ მონაკვეთში კარგად ითამაშა ქუთაისელთა თავდამსხმელმა მამისეიშვილმა, რომელმაც საკმაოდ რთული მდგომარეობიდან შესამე, გადამწყვეტი ბურთი გაიტანა „ტორედის“ კარში. სტუმრებმა მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შესძლეს და „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. განმეორებითი შეხვედრა კი ქუთაისელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათი დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა — 2:0. ორივე ბურთი მამისეიშვილმა გაიტანა.

მომდევნო ტურში „ლოკომოტივმა“ პირველი ლიგის დებიუტანტი — ძერჟინსკის „სვერდლოვეცი“ მიიღო. პირველ ექვს წუთში ძნელაძემ და მამისეიშვილმა ორი ბურთი გაიტანეს. ეტყობა, ქუთაისელ ჰოკეისტებს მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონათ და მოდუნდნენ, რითაც კარგად ისარგებლეს სტუმრებმა — მათ 4 წუთში 3 ბურთი გაიტანეს და დაწინაურდნენ. რკინიგზელებმა ისევ შესძლეს მობილიზება — ჭიქაძემ, კოხრეიძემ (2-2) და მამისეიშვილმა კიდევ 5 უპასუხო ბურთი გაიტანეს სტუმართა კარში — 7:3. ლოკომოტიველებს არც განმეორებითი შეხვედრის მოგება გასჭირვებიათ — 2:0 (ჭიქაძე, მამისეიშვილი).

ეს შეხვედრები „ლოკომოტივმა“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ჭოჭუა, კოხრეიძე, ფულარიანი, კუდუხოვი, წიქარიშვილი (გოგავა), ძნელაძე, მაჩალაძე, ჭიქაძე (რატკო), გოლეთიანი (ჯანგავაძე), მამისეიშვილი, ჩარკვიანი (ჯავახაძე).

ამრიგად, „ლოკომოტივმა“ 16 შეხვედრიდან 18 ქულა მოაგროვა (ბურთების შეფარდება — 21:18) და გთამაშების ცხრილის მეოთხე საფეხურზე გადაინაცვლა. 22-22 ქულა აქვთ ლიდერებს — ბრესტის „სახლშენსა“ და სუმგაითის „ინშაარს“. 20 ქულა აქვს III ადგილზე მყოფ მოსტკას „სვეპას“.

ახლა ქუთაისელ ჰოკეისტებს ოთხი ძნელი გასვლითი მატჩი ელით მინსკისა და ბრესტის გუნდებთან. 1 ივლისს, I წრის ბოლო მატჩში კი ისინი სუმგაითის „ინშაარს“ უმასპინძლებენ.

თამაზ ხარაბაძე.
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

ევროპა, ევროპა...

ახლა, როცა სსრ კავშირისა და იტალიის გუნდების ნახევარფინალური მატჩის ვნებათაღელვანი გასვლილია, როცა ჩვენმა ფეხბურთელებმა დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხეს ძალზე ძლიერი მეტოქე, კვლავ და კვლავ გონების თვალით გადავყურებთ იმ უძნელეს თამაშს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოგვიტანა. თავისთავად, ეს უკვე ფრიად პრესტიჟული წრდებაა: ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი! ევროპის პირველობა მსოფლიო ჩემპიონატს მხოლოდ იმით ჩამორჩება, რომ მასში არ გამოდიან ბრაზილის, არგენტინისა და ურუგვაის გუნდები, სხვა მხრივ კი კონტინენტის ჩემპიონატი თანამედროვე საერთაშორისო საფეხბურთო იერარქიის განმსაზღვრელი ფრიად ავტორიტეტული შეჯიბრება გახლავთ, ევროპის ჩემპიონი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი ავანგარდისტია.

ამდენად, საბჭოთა გუნდის ფინალში მონაწილეობა ბევრს, ძალზე ბევრს ნიშნავს. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა 1960 წელს ევროპის თასი მოიპოვა, რაც ევროპის ჩემპიონატის ადეკვატურია, 4 წლის შემდეგ კი იმავე გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა. ეს ამბავი მაშინ წარუმატებლობად ჩათვალეს, რახან ჩვენმა გუნდმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ამგვარი შეფასება კი, რაკი ვირველია, ძირშივე მცდარია, ევროპის უძლიერესი ეროვნული გუნდების კლასიფიკაციაში მეორე ადგილის ოფიციალურად დაკავება ნებისმიერი რანგის ნაკრებისთვის დიდი წარმატებაა.

ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა გუნდს საკონტინენტო ჩემპიონატში 16 წელია ხელი მოცარული აქვს, მეორე ადგილი და გათამაშების ფინალში გასვლა დიდ მიღწევად უნდა ჩავთვალოთ.

დღეს ჩვენ ფინალში მონაწილეობაზე ვლაპარაკობთ, თვით ფინალური მატჩი კი აწი შედგება, ამიტომაც მოვლენებს ნუ გადავასწრებთ და მოთმინებით დავუცადოთ გადამწყვეტი მატჩის ტელერეპორტაჟს შიუნხენის ოლიმპიური სტადიონიდან.

რა განწყობით ხვდება ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობა სსრ კავშირისა და ჰოლანდიის გუნდების ამ უმნიშვნელოვანეს მატჩს? ვშიშობთ? რა თქმა უნდა! ვფრთხილობთ? რა თქმა უნდა! ეს ჩვეული, ორდინარული მოლოდინია ძალზე ძლიერ მეტოქესთან ესოდენ დიდმნიშვნელოვანი მატჩის წინ. ასევე სიფრთხილით მოველოდით ჰოლანდიელებთან პირველ მატჩს ჩემპიონატის დასაწყისში, მაგრამ იგი მოვიგეთ. არც ინგლისის გუნდთან შეხვედრის წინ მოუცია ვინმეს ჩვენთვის გამარჯვების გარანტია, მაგრამ ის მატჩიც მოვიგეთ, ხოლო რაც შეეხება ნახევარფინალურ მატჩს იტალიის ძალზე ძლიერ გუნდთან, უმეტესობა შიშის მოლოდინით ვიყავით შეპყრობილნი, ვინაიდან წარმატების მოპოვება გუნდთან, სადაც გამოდიან ბერგომი, მალდინი, ალტობელი, ვიალი, ძენგა, დი ნაპოლი, დონადონი და სხვა საქვეყნოდ განთქმული ოსტატები, ძალზე ძნელი საკარაუდოა.

გოლის გატანის შემდეგ პროტესტოვმა ასე გამობატა თავისი სიხარული.

და, აი, გავიმარჯვეთ, თანაც გავიმარჯვეთ საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით — 2:0. თუ უშუალოდ მატჩის მსვლელობას, მის პერიპეტიებს გავიხსენებთ, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი გუნდი იტალიისაზე აშკარად ძლიერი იყო.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური გათამაშების დაწყების წინ საბჭოთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ გუნდის მინიმალური პროგრამაა ნახევარფინალში გასვლა, ხოლო პროგრამა-მაქსიმუმი კი ფინალში მონაწილეობა. ჯერჯერობით ყველაფერი მართლდება.

იტალიელებთან მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინეს, მათ თავიდანვე ისე შებოჭეს მეტოქე, რომ იტალიის გუნდი სანახევროდაც არ წაგავდა საკუთარ თავს. ეს არ იყო ის ძძლავრი ძალა, რომელმაც სასტარტო მატჩში გფრ-ის გუნდთან მეტოქეზე უკეთ ითამაშა, თუმცა, მხოლოდ ფრეს დასჯერდა (1:1), შემდეგ კი ზედიზედ დამარცხა ესპანეთისა (1:0) და დანიის (2:0) გუნდები. ბევრი შიმშხილველი და სპეციალისტი მაშინ იტალიელებს უპირველეს ფავორიტად აღიარებდა, ამ მოსაზრებას ბევრი ჩვენგანიც ეთანხმებოდა.

მაგრამ, ვიმეორებთ, საბჭოთა ნაკრებთან მატჩში იტალიელებმა ვერ გამოავლინეს ვერც ინდივიდუალური ტექნიკური ოსტატობა, ვერც მახვილი ტაქტიკური მრავალფეროვნება, იგი ერთიანად შებოჭილი, გაუბედავი და, ზოგიერთ შემთხვევაში, უუნაროც კი ჩანდა. ევროპის ჩემპიონატის მატჩებში იტალიელებს ასე შებორკილად ჯერ არ უთამაშიათ, საბჭოთა ფეხბურთელთა მძლავრი იერიშებისა და უმაღლესი საბრძოლო განწყობის წინაშე ისინი დამწყებ შეგირდებს წააგავდნენ, საბჭოთა გუნდი თამაშობდა, იტალიისა კი მას რითაც შეეძლო ეწინააღმდეგებოდა და მხოლოდ რამდენიმეჯერ შეძლო საპასუხო კონტრშეტევის განხორციელება. განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა საბჭოთა გუნდის ნახევარდაცვის ხაზმა, შუა მინდორზე გაჩაღებული მძაფრი ბრძოლის შედეგად გამოიკვეთა გამარჯვებულის სრული უპირატესობა მეტოქეზე.

საბჭოთა ფეხბურთელთა ინიციატივა პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა და ამ პერიოდში სრულიად უჩვეულო იყო იტალიელთა პასიურობა, რომლებიც საკუთარ ნახევარზე იყვნენ ჩაკეტილი და ამაოდ ეძებდნენ შეტევის განვითარების გზებს. მათი კონტრიერიშები მოკლებული იყო ტრადიციულ სიმწვავეს, თავდასხმას შესამჩნევად აკლდა მხარდაჭერა შუა ხაზის მოთამაშეთაგან და თვით პირველხარისხოვანი ფორვარდი ჯანლიეკა ვიალიც კი უმწეოდ გამოიყურებოდა იერიშების დროს. ამ იშვიათ ეპიზოდებში ისიც და მისი პარტნიორებიც სისტემატურად აგებდნენ ბრძოლას მეტოქეთა მცველებთან და მეკარესთან. საბჭოთა ფეხბურთელთა კოლექტიური სწრაფვის წინაშე იტალიელები აშკარად უძლურნი იყვნენ და რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ იტალიელებს ჩვენთან შედარებით ინდივიდუალურად უფრო ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ, ყველაფერი ეს საფუძველს მოკლებულია. საბჭოთა გუნდი ამჯერად მთელი თავით სჯობდა მეტოქეს, მის გამარჯვებაში ეჭვის შეტანა აბსურდი და მიკერძოებული განწყობაა. დასანანია მხოლოდ ის, რომ ფეხბურთელები ზოგიერთ შემთხვევაში უხეშობდნენ, ბელგიელმა მსაჯმა ა. პონომ ექვსი მოთამაშე გააფრთხილა. მეორედ დაიმსახურა ყვითელი ბარათი საბჭოთა ნაკრების ძირითადმა მცველმა ო. კუზნეცოვმა, რომელიც ამის გამო ფინალურ მატჩში ჰოლანდიელებთან ვერ ითამაშებს.

შეტევაზეა იტალიელი ვიალი.

უცხოელი ჟურნალისტები წერენ, რომ მათ არასოდეს უნახავთ იტალიის ნაკრების მწვრთნელი ა. ვიჩინი ასე გაწბილებული, ასე დაბნეული. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან გულწრფელად აღიარა: „საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან გაგვაცვიფრეს მკაცრი პრესინგით, მათ დაგვჯაბნეს სისწრაფითაც და, განსაკუთრებით, ფიზიკური მომზადებით, რაც ცხადად გამოვლინდა წვიმიან მინდორზე. ისინი თამაშობდნენ უფრო აქტიურად, მწვავედ, ენერგიულად, ჩვენ ვერას გავხდით მათ წინააღმდეგ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ასეთ მნიშვნელოვან მატჩში ვინ უფრო ადრე დააღწევს თავს ნერვულ შოკს, საბჭოთა ფეხბურთელებმა წარმატებით ჩატარებული პირველი წუთების შემდეგ მოიხსნეს ეს დაძაბულობა, იტალიელები კი ბოლომდე დარჩნენ მის ტყვეობაში“.

კიდევ უფრო ძნელი, კიდევ უფრო საინტერესო იქნება ფინალური თამაში ჰოლანდიელებთან. ის, რომ პირველი მატჩი მათთან მოგებული გვაქვს, ახლა არაფერს ნიშნავს. ახლა ყველაფერი თავიდან იწყება. ვ. ლობანოვსკის აზრით ჰოლანდიის ნაკრები ყველაზე რთული, მრავალპლანიანი და სტაბილური გუნდია და თავის მაღალ ღირსებებს იგი უეჭველად გამოავლენს ფინალში. მას არა ჰყავს ე. წ. „წმინდა სპეციალიზაციის“ მცველები, ნახევარმცველები ან თავდამსხმელები. თითოეულ ჰოლანდიელ ფეხბურთელს უნარი შესწევს სწორედ ის სამუშაო გააკეთოს, რომელიც მას გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციაში ეკისრება, ეს უნივერსალურ თვისებათა ვარსკვლავები არიან, მათი საშემსრულებლო ხელოვნება მუდამ კოლექტივიზმის პრინციპებს ემყარება.

ვ. ლობანოვსკიმ პრეტენზია გამოთქვა მსაჯების მიმართ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ არჩევენ ერთმანეთისაგან ე. წ. „მჭიდრო“ თამაშს და უხეშობას. მან აღნიშნა ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელთა მაღალი კლასი, მაგრამ მათგან მაინც საგანგებოდ გამოჰყო რუუდ გულიტი და მარკო ვან ბასტენი. ახლა, როცა ჩვენს გუნდს კუზნეცოვი გამოაკლდა, დაცვაში ახალი საზრუნავი გაგვიჩნდა.

ეს ჩვენი გუნდის პრობლემებია, მაგრამ არანაკლები სიძნელეებია ჰოლანდიელთა წინაშეც, მათს ხელმძღვანელს რინუს მიჰელსსაც ბევრი „მრავალუცნობიანი ამოცანა“ აქვს გადასაჭრელი.

ერთი სიტყვით, ევროპის ჩემპიონატის ბედი გადაწყდება დღეს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე. სსრ კავშირისა და ჰოლანდიის გუნდების მატჩს იმსაჯებს ცნობილი ფრანგი არბიტრი მიშელ ვოტრო. მან უკვე უხელმძღვანელა ერთ მატჩს გფრ-ისა და ესპანეთის გუნდებს შორის.

ბურთისთვის იბრძვიან დი ნაპოლი (მარცხნივ) და სერგეი გოცმანოვი.

ხაკდეს-ხაქინფორმის ფოტოები

ჩემპიონატის ქრონიკა

მატჩი № 13, ნახევარფინალი

გფრ — ჰოლანდია 1:2

ჰამბურგი. 21 ივნისი. მსაჯი ი. იგნა (რუმინეთი). 60 ათასი მაყურებელი. გოლები: ლ. მათეუსი (გფრ), რ. კუმანი, მ. ვან ბასტენი (ჰოლანდია). გააფრთხილეს ვან ბროკელენი (ჰოლანდია).

მატჩი № 14, ნახევარფინალი

სსრ კავშირი — იტალია 2:0

შტუტგარტი. „ნეკერშტადიონი“. 22 ივნისი. მსაჯი ა. პონე (ბელგია). 68.000 მაყურებელი. გოლები: ლიტოვჩენკო, პროტასოვი (სსრ კავშირი).

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა: დასაევი, ბესონოვი (დემიანენკო), ხიდიატულინი, კუზნეცოვი, რაცი, ალეინიკოვი, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი, მიხაილიჩენკო, გოცმანოვი.

გააფრთხილეს კუზნეცოვი, ბესონოვი, გოცმანოვი (სსრ კავშირი), ბარეზი, დი ნაპოლი, ფერი (იტალია).

სსრ კავშირი



ოანამედროვე ფეხბურთის განვითარებას რევოლუციამდელ რუსეთში დასაბამი ინგლისელებმა მისცეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში საფეხბურთო კლუბები შეიქმნა სახალ-პეტერბურგსა და მოსკოვში. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე პირველი მატჩები გაიმართა პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესაში, კიევში, ხარკოვში, თბილისში და სხვა ქალაქებში. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-ს წევრია 1946 წლიდან. საბჭოთა გუნდი 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა, 1960 წელს მან ევროპის თასი მოიგო, 1964 და 1972 წლებში კი მეორე ადგილები დაიკავა. ახლანდელი საკონტინენტო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შედეგები აჩვენა: ისლანდია — სსრ კავშირი 1:1, საფრანგეთი — სსრ კავშირი 0:2, სსრ კავშირი — ნორვეგია 4:0, სსრ კავშირი — გდრ 2:0, ნორვეგია — სსრ კავშირი 0:1, სსრ კავშირი — საფრანგეთი 1:1, გდრ — სსრ კავშირი 1:1, სსრ კავშირი — ისლანდია 2:0.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ჰოლანდიის ნაკრები, ფრედ ითამაშეს ირლანდიელებთან — 1:1 და ანგარიშით 3:1 მოუგეს ინგლისის გუნდს.

ფინალისტები

ჰოლანდია

ჰოლანდიის (ნიდერლანდები) სამეფო საფეხბურთო კავშირი შეიქმნა 1889 წელს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია 1904 წლიდან. ჰოლანდიის ნაკრები 1974 და 1978 წლების მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი იყო, 1976 წლის ევროპის ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ახლანდელი საკონტინენტო ჩემპიონატის წინასწარ შესარჩევ მატჩებში ჰოლანდიის ნაკრებმა ასეთი შედეგები აჩვენა: უნგრეთი — ჰოლანდია 0:1, ჰოლანდია — პოლონეთი 0:0, კიპროსი — ჰოლანდია 0:2, ჰოლანდია — საბერძნეთი 1:1, ჰოლანდია — უნგრეთი 2:0, პოლონეთი — ჰოლანდია 0:2, ჰოლანდია — კიპროსი 4:0, საბერძნეთი — ჰოლანდია 0:3.

ევროპის ახლანდელი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჰოლანდიელებმა წააგეს სსრ კავშირის ნაკრებთან — 0:1, მოუგეს ინგლისისა — 3:1 და ირლანდიის გუნდებს — 1:0.

ოლიმპიური წლის პრობლემები

დასასრული

სიტყვამ მოიტანა და საუბარს პირველი დღის შედეგების შესახებ 95 კილოგრამით დავიწყებთ. მთავარი ფავორიტები, წესისამებრ, სხვადასხვა ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი, — ვიქტორ პოდდუბნი პირველში, ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი კოლომნელი ევგენი პეჩუროვი კი — მეორეში.

ფინალურ შეხვედრამდე პოდდუბნიმ ოთხი ბრძოლა ჩაატარა და ყველა დროზე ადრე მოიგო (რუმინელ გეორგი დიკონუსთან, რიგელ ვეხც ჩაქსტინშთან, გფრ-ის გუნდის წარმომადგენელ გიუნტერ ნოიროიტერთან და ჩირჩიკელ დიმიტრი სოლოვიოვთან). მისმა მეტოქემ პეჩუროვმა შესაბამისად დაამარცხა ერიკ ფოროუ (საფრანგეთი) — 5:0, არტურ სტირი (რიგა) — წმინდად, ვადიმ ვოინოვი (რიგა) — მსაჯების გადაწყვეტილებით და ასლან ნაურზოკი (ლვოვი) — წმინდად.

პოდდუბნიმ არც ფინალურ ბრძოლაში უღალატა თავის სტილს, მთელი შეხვედრა აგრესიულად ჩაატარა, მეტოქეს გამარჯვებისთვის საკმარისი „ვაზარი“ აართვა, მაგრამ არ დასჯერდა მას, მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა მეტოქე და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

! თბილისის საერთაშორისო ტურნირი ოლიმპიური რეგლამენტით ტარდება, სეულში კი მოგეხსენებათ, პირველობა აბსოლუტურ კატეგორიაში არ გათამაშდება. ამიტომ ტურნირის ორგანიზატორებმაც აბსოლუტურ კატეგორიაზე ამჯერად უარი თქვეს. ცხადია, ყველა უძლიერესმა ძიუდოისტმა ნებსით თუ ენებლიედ თავი მძიმე წონაში მოიყარა. ყველამ ერთის გარდა, მაგრამ ეს ერთი ჩელიაბინსკელი მსოფლიო ჩემპიონი გრიგორი ვერიჩევი გახლავთ, რომელსაც მწვრთნელთა საბჭომ დასვენების უფლება მისცა. მვწრთნელთა საბჭოს, რა თქმა უნდა, აქვს თავისი მოსაზრებები, აი ჩვენ კი ერთი საინტერესო ორთაბრძოლა დაგვაკლდა ვერიჩევისა და ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძის მონაწილეობით.

ტურნირს, რომელიც წლეულს მეცხრამეტედ ტარდება ჰყავს თავისი რეკორდსმენი. ეს გახლავთ რამაზ ხარშილაძე — ამ შეჯიბრების ექვსგზის ჩემპიონი. წლევანდელი ტურნირის შემდეგ მას გვერდში ამოუდგა აკაკი კიბორძალიძე (სხვათა შორის ოთხგზის გამარჯვებული არიან ალექსანდრე ციუპაჩენკო და მალხაზ ბერუაშვილი, უცხოელთა შორის რეკორდსმენად კი იაპონელი სავაო ენდო ითვლება — თბილისის ტურნირის სამგზის ჩემპიონი).

კიბორძალიძემ შედარებით ადვილად განვლო გზა ფინალამდე, დაამარცხა ოთხი მეტოქე (იორგ ბრუმერი გდრ-დან, სიმფეროპოლელი ოლეგ გრიცაშინი, ბრაზილიელი ალფრედო ფერნანდო, კუიბიშეველი სერგეი კოსოროტოვი) და დაელოდა მეორე ჯგუფში გამარჯვებულ თომას მიულერს (გდრ), რომელმაც მეტოქეზე ერთითა ნაკლები შეხვედრა ჩაატარა, რადგან პირველ წრეში ისვენებდა.

ფინალური ბრძოლა კიბორძალიძესა და მიულერს შორის 3 წუთსა და 36 წამში შეწყდა. ქართველმა მოუხდავემ მეტოქე მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა და ბრძოლის გაგრძელებაზე უარი ათქმევინა.

ერთი დეტალიც. ძიუდოს ფუძემდებლებს — იაპონელებს ამ ორ წონაში მონაწილე არ გამოუყვანიათ, ამიტომ არ შევხვდით არსად მათ გვარებს.

ტექნიკური შედეგები

მძიმე წონა. 1. აკაკი კიბორძალიძე (ქუთაისი), 2. თომას მიულერი (გდრ), 3. ალფრედო ფერნანდო (ბრაზილია) და სერგეი კოსოროტოვი (კუიბიშევი).

90 კგ. 1. ვიქტორ პოდდუბნი (კრასნოიარსკი), 2. ევგენი პეჩუროვი (კოლომნა), 3. ვადიმ ვოინოვი (რიგა) და ასლან ნაურზოკი (ლვოვი).

გუშინ...

გათამაშდა მედლების კიდევ ორი კომპლექტი. 86 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი თბილისელმა დავით ბაგაურამ დაიკავა. 78 კგ. წონაში კი უძლიერესი იყო ასევე თბილისელი სპორტსმენი ლერი ნაკანი.

ალექსანდრე ჩაჩავა

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას გამოაკლდა დარგის შესანიშნავი სპეციალისტი, შრომისა და სპორტის ვეტერანი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სკკპ წევრი 1953 წლიდან ალექსანდრე მიტროფონეს ძე ჩაჩავა.

ა. ჩაჩავამ 1947 წელს 21 წლისამ დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და იმ პერიოდიდან მოყოლებული უანგარიოდ, საქმის დრმა ცოდნით და სიყვარულით ემსახურებოდა არჩეულ პროფესიას, შრომითი საქმიანობა სოხუმში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლობით დაიწყო, შემდეგ სხვადასხვა წლებში იყო აფხაზეთის განათლების სამინისტროს ინსპექტორი, აფხაზეთის სპორტკომიტეტის სასწავლო-სპორტული მუშაობის განყოფილების გამგე, სოხუმის კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავე საბჭოს თავმჯდომარე, შარშან კი იგი სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების კომპლექსურ სპორტსკოლას, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ა. ჩაჩავა მაღალნაყოფიერი შრომისა და რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებული იყო საქართველოსა და აფხაზეთის სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით.

კარგი სპეციალისტის, გულისხმიერი მეგობრისა და ნათელი პიროვნების ხსოვნა არასოდეს წაიშლება იმათ გულებში, ვინც კარგად იცნობდა ამ შესანიშნავ ადამიანს.

საქართველოს სპორტსახკომი, აფხაზეთის სპორტსახკომი, სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

არგენტინაში ტურნეს წინ

რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის XV ტურის შეხვედრაში გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა — ქუთაისის „მშენებელმა“ ქალაქის ცენტრალური სტადიონის რეგბის მოედანზე მოსკოვის „ფილის“ უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა რიგებში ამჯერად ვერ ითამაშეს წამყვანმა სპორტსმენებმა — ძაგნიძემ და ლოსაბერიძემ, მატჩი მაინც ჩემპიონის აშკარა უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დამთავრდა — 24:6 (15:6). ქუთაისელებმა (ნაჭყებიამ, ოდიშარიამ და ხარშილაძემ) სამი ლელო გაიტანეს, ლილუაშვილმა კი, რომელმაც ძაგნიძის არყოფნის გამო დამრტყმელის ფუნქცია იტვირთა, დამიწების შემდეგ სამივეჯერ გაიტანა ბურთი; ამის გარდა, მან ორი საჯარიმოც შეაგდო.

სტუმართაგან ვეტერანმა მცველმა ოვჩინიკოვმა გამოიჩინა თავი: ლილუაშვილს მსგავსად, მანაც ორი საჯარიმო გაიტანა.

სხვა მატჩების შედეგები: „ავიატორი“ — ლენინგრადი 14:4, ასკ — „სლავა“ 22:16, „ტირასპოლი“ — ეტს 9:16.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„მშენებელი“	15	13	1	1	42
„ლოკომ.“ (მ.)	15	10	2	3	37
სხა (მონინო)	14	11	0	3	36
„ავიატ.“ (კ.)	15	10	0	5	35
„სლავა“ (მ.)	15	10	0	5	35
ეტს (კრასნ.)	15	8	2	5	33
ასკ (ა.-ა.)	15	6	4	5	31
რრკ (თბ.)	15	6	1	8	28
„ელ.“ (ტირ.)	15	2	3	10	22
„ზვ.“ (ტაშკ.)	14	2	0	12	18
„ელ.“ (ლენ.)	14	1	2	11	18
„ფილი“ (მ.)	14	1	1	12	17

ჩემპიონატში 8 ივლისამდე შესვენება ცხადდება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩვენი რეგბის ისტორიაში პირველად ორკვირიანი ტურნეს გასამართავად არგენტინას მიემგზავრება. ნაკრებში მიწვეულია სამი ქუთაისელი რეგბისტი: ნუგზარ ძაგნიძე, მამუკა ლოსაბერიძე და ბესო ლილუაშვილი, „მშენებლის“ მთავარი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი კი ედგარ თათურიანთან და ვიქტორ მასიურასთან ერთად გუნდს უთავკაცებს.

საბჭოთა გუნდი არგენტინაში მომავალ კვირაში ჩავა.

თამაზ კოლხიდელი.
(„ლელოს“ საკ. კორ.).

ქუთაისი.

შიმგლდონი ქალებს იკრებს

ლონდონი. უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირზე საუბარი ალბათ მაინც ანდრეი ოლხოვსკით (მოსკოვი) უნდა დავიწყოთ, ვინაიდან საბჭოთა სპორტსმენებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებას ჯერჯერობით სწორედ მან მიაღწია — მეორე წრეში პიტერ ოლდრიხი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) დაამარცხა 6:4, 6:4, 6:2 და მესამე წრეში გავიდა, სადაც კანადელ კრის პრიდხემს შეხვდება (ამ უკანასკნელმა მეორე წრეში უდო რიგლევსკის აჯობა, ჩოგბურთელს, რომელმაც სასტარტო მატჩში ანდრეი ჩესნოკოვს მოუგო).

წარმატებით ასპარეზობენ მინსკელი ნატალია ზვერევაც, რომელმაც, მეორე წრეში ამერიკელი პეტი ფინდიკი დაამარცხა — 6:3, 6:3 და ლარისა სავჩენკო, რომელმაც მასაო იანაგის (იაპონია) მოუგო 7:6, 6:3.

შეჯიბრებას გამოეთიშნენ მოსკოველი ნატალია ბიკოვა (ამერიკელ ბარბარა პოტერთან შეხვედრის შემდეგ 6:2, 4:6, 7:9), კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვი (ჩეხოსლოვაკიელ მიროსლავ მეჩირჟთან — 2:6, 4:6, 4:6), სვეტლანა პარხომენკო (ამერიკელ პამ შრაიერთან 3:6, 4:6) და ლეილა მესხი (ამერიკელ მერი ფერნანდესთან—1:6, 5:7).

არც ფავორიტებს ადგიათ კარგი დღე. ამერიკელი ჯონ მაკინროუ, მაგალითად, რომელიც სამჯერ იყო უიმბლდონის ჩემპიონი, მეორე წრეში ავსტრალიელ უოლი მასუროსთან დამარცხდა — 5:7, 6:7, 3:6. ძნელი გამარჯვებები მოიპოვეს ივან ლენდლმა (ავსტრალიელ ლარენ კახილთან 5:7, 6:2, 6:4, 6:4) და უიმბლდონის შარშანდელმა ჩემპიონმა პატ კეშმა (არგენტინელ ხავიერ ფრანიასთან 6:2, 4:6, 3:6, 6:1, 6:4).

დაიწყო წყვილთა შეხვედრები. პირველ წრეში ლეილა მესხმა და სვეტლანა პარხომენკომ ინგლისელთა დუეტს — სარა გომერსა და ჯულია სადმონს აჯობეს 6:4, 6:3, ალექსანდრე ვოლკოვმა და ანდრეი ოლხოვსკიმ ხავიერ ფრანიასა (არგენტინა) და ხაიმე ლოპეს-მაესოს (ესპანეთი) ინტერნაციონალური წყვილი დაამარცხეს 6:2, 6:2, 7:6.



ბაბიზი. აშშ-ს ყალათბურთელთა ნაკრები ამთავრებს ტურნეს ევროპაში. მან საფრანგეთის ეროვნული გუნდი დაამარცხა ანგარიშით — 100:82 (47:41). გამარჯვებულთა შორის საუკეთესო სნაიპერები ჯონსი და სმითი იყვნენ — 17-17 ქულა, ფრანგებში — ოსტროვსკი (19 ქულა). ახლა ამერიკელებს ორად-ორი შეხვედრა დარჩათ ჩასატარებელი — ავსტრიასთან და ესპანეთთან.

კანბერა. წყალბურთში მსოფლიოს ჩემპიონმა იუგოსლავიის გუნდმა პირველი შეხვედრა ჩაატარა მწვანე კონტინენტზე და ადგილობრივი ნაკრები დაამარცხა 13:10. მეტოქეები ერთმანეთს კიდევ სამჯერ შეხვდებიან.

ხიროხიმა. აქ გაიმართა საბჭოთა და იაპონელი ფრენბურთელი ქალების მესამე ამხანაგური შეხვედრა, რომელიც ისევ ჩვენმა გუნდმა მოიგო — 3:0.

ტალინი. საკავშირო ჩემპიონატზე სასანგრო სროლაში პირველ სამ ადგილზე გავიდნენ: კონსტანტინე მანდრიკი (ციროვოგრადი) — 218 ქულა (225-იდან), დმიტრი მონაკოვი (კიევი) — 217 ქულა, ურმას ხაალისტე (ტარტუ) — 215 ქულა. მრგვალ სტენდზე ადგილები პრიზიორთა სამეულში ასე განაწილდა: ვალერი ტიმოხინი (ბაკო) — 220 ქულა, ვლადიმერ სოკოლოვი (ლენინგრადი) — 218 ქულა და ანდრეი იანეშინი (ტალინი) — 216 ქულა.

პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა თბილისელი თამაზ იმნაიშვილი.

ლენინგრადი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი დაშნით ფარიკაობაში გახდა მოსკოველი ანდრეი შუვალოვი, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა იური მურზლიკინს (მოსკოვის ოლქი) მოუგო — 10:6. ბრინჯაოს ჯილდო ტალინელ ვლადიმერ რეზნიჩენკოს ხვდა.



კიევი. გამართულ ყრუ-მუნჯ მაგიდის ჩოგბურთელთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობაზე საპატიო მესამე ადგილი მოიპოვეს საქართველოს წარმომადგენლებმა. უძლიერესის სახელი ხვდათ რსფსრ-ის წარმომადგენლებს, მეორე ადგილი კი მახაჩკალელებმა დაიხაკუთრეს.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ (მათ ხურათს ხედავთ) სპორტის ოსტატობის კანდიდატები ნიკოლოზ გარანკინი (მოთამაშე მწვრთნელი, მარცხნივ), ზურაბ კერესელიძე, რუდიკ გოვოროვი, პაატა გარანკინი, ალექსანდრე დობრიკოვი, გულიარდი მუმლაძე და პირველთანრიგოსანი ლელა ხუტურიძე.

ემზარ მიქაუტაძის ფოტო.

„ლეიკერსის“ ოღბლიანი სეზონი

ნიუ-იორკი. მას შემდეგ რაც ყველაფერი გაირკვევა პროფესიონალ კალათბურთელთა ლიგის (ნბა) ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, ფინალის ორკვირიანი სუპერსერიები დაიწყო, რომელიც, ტრადიციულად შვიდ შეხვედრას მოიცავს.

წლევანდელი ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებში, როგორც ვიუწყებოდით, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ და „დეტროიტ პისტონსი“ იბრძოდნენ. ექვსი შეხვედრის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო — 3:3. და აი, გაიმართა მეშვიდე გადამწყვეტი ორთაბრძოლა, რომელიც ლოს-ანჯელესის კალათბურთელებმა მოიგეს — 108:105 (გამარჯვებული გუნდის საუკეთესო სნაიპერი ჯეიმს უორტი გახლდათ — 36 ქულა) და ნბა-ს ჩემპიონის ტიტულს დაეპატრონენ.

„ლეიკერსის“ მეთერთმეტე გამარჯვება ამ ტურნირში სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა და იგი გუნდის ბრწყინვალე ფორმაზე მიგვანიშნებს. ამ კოლექტივმა ზედიზედ მეორედ, მოიპოვა პროფესიონალური კალათბურთის მთავარი ჯილდო. ასეთი წარმატებისთვის ლიგაში 19 წელია არც ერთ კოლექტივს არ მიუღწევია, ამიტომაც ამბობენ, რომ სეზონი კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათო. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: ჩემპიონატის სხვადასხვა ეტაპზე ლოს-ანჯელესის კალათბურთელებმა 82 შეხვედრიდან სამოცდაორი მოიგეს.

სპეციალისტები და მიმომხილველები ქებას არც დეტროიტის გუნდს აკლებენ, მით უფრო, რომ ოთხსერიან ნახევარფინალში მან სახელოვანი „ბოსტონ სელტიქსი“ დაჯაბნა.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 23 ივნისის ნომერში მეორე გვერდზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ მასალაში („საქართველოს სპორტსახკომში“) დაშვებულია უზუსტობა: მეორე აბზაცში მე-6 სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს: „ამ საკითხს სწავლობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების კომისია“... შემდეგ, როგორც ტექსტშია.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა „სპორტლოტოს“ 25-ე ტირაჟების შედეგები, რომელიც 1988 წლის 19 ივნისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-დან. ტირაჟში დაშვებულია 1.412.331 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (15) მოგებამ შეადგინა 3.443 მანეთი, 4 ნომრისთვის (1.211) — 52 მანეთი, 3 ნომრისთვის (24.305) — 4 მანეთი.

„სპორტლოტო 5 36“-დან. ტირაჟში დაშვებულია 15.041.317 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (20) მოგებამ შეადგინა 10.000 მანეთი, 4 ნომრისთვის (4.880) — 171 მანეთი, 3 ნომრისთვის (173.995) — 7 მანეთი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარეულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05405